შემოსავლების
სამსახური

ბრძანება N 8984

19/02/2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის -შემოსავლების სამსახურის ბალანსზე რიცხული ქონების საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის გადაცემის შესახებ

„სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გადაეცეს საქართველოს მთავრობის კანცელარიას, უსასყიდლოდ, უვადოდ, სარგებლობის უფლებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული ა/მანქანა:

- ,,კია სპორტიჯი“ სახელმწიფო ნომრით KCK-091, საიდენტიფიკაციო კოდი KNAPB811CD7468567, გამოშვების წელი 2013 , საწყისი საბალანსო ღირებულება 30333 ლარი, ნარჩენი ღირებულება 26935,70 ლარი.

2. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების საქართველოს მთავრობის კანცელარიისთვის გადაცემა;

3. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ დავით გოგინოვმა უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული ქონების საქართველოს მთავრობის კანცელარიისათვის გადაცემის თაობაზე მიღება ჩაბარების აქტზე ხელის მოწერა.

4. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს ნიკოლოზ კახეთელიძეს;

5. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური